საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1752
15/03/2023

1752-21-2-202303151220

შპს „ქარქა ჰოლდინგს"
მის: ქუთაისი, წმინდა სამებას ქუჩა, N 4
ელ. ფოსტა: adotskhvitaria@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №659 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვრებში მოქცეულია შპს „საქართველოს მელიორაციას“ კაპიტალში რიცხული, რეგისტრირებული ლამი-მისაქციელის მაგისტრალური არხის გ-1 გამანაწილებელი (ს/კ 72.00.610), რომლის გასხვისების ზოლები, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 30.06.2003 წლის „სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენა-გასხვისების სამშენებლო ნორმების დამტკიცების შესახებ“ №19 ბრძანების შესაბამისად შეადგენს არხის ბერმიდან ორივე მხარეს 4-4 მეტრს საექსპლუატაციო გზის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთზე (ს/კ 72.03.22.628) რაიმე სახის მშენებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს გასხვისების ზოლების დაცულობა. ასევე დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №409 და №440 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემის გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას. აღნიშნული შეზღუდვა ასახული უნდა იყოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (დატვირთული იქნას სერვიტუტით);
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ მოცემული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 72.03.22.628) მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნატახტარში. ხოლო, სკრინინგის განცხადებაში რიგ შემთხვევაში მითითებულია სოფ. მისაქციელი, ხოლო რიგ შემთხვევაში სოფ. ნატახტარი. ამასთან, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულია სოფ. მისაქციელის ტერიტორიაზე. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას;

- დოკუმენტის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარება გათვალისწინებულია სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სახანძრო დანიშნულებით. თუმცა, წარმოდგენილი არ არის საიდან მოხდება წყალაღება.

დანართის სახით გიგზავნით ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, შპს „საქართველოს მელიორაციას“ წერილს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადებების წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: ელ. ვერსია

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო